რა არის კონსტიტუცია.

კონსტიტუცია ჰქვია იმ ძირითადს კანონებს, რომელიც ხსნის თუ რა პირობებში ღებულობს მოქალაქე მონაწილეობას თავის ქვეყნის მმართველობაში.

ნამდვილი კონსტიტუცია აქვს იმ ქვეყანას სადაც დაცულია ორი ძირითადი პირობები:

1.ადამიანის ბუნებრივი უფლებების უზრუნველყოფა ყველა მოქალაქისათვის.

2. სხვა და სხვა მმართველობა სახელმწიფოში იყო განცალკევებული.

მმართველობის გაყოფა მდგომარეობს შემდეგში:

1.განცალკევებული უნდა იყოს სასამართლო 2. კანონმდებელთაგან. ე.ი წარმომადგენელთა პალატიდან. და . აღმასრულებელი მთავრობა ე.ი. მმართველობა რესპუბლიკის პრეზიდენტისა, მინისტრებთა და მოხელეთა, რომელთაც ჰყავთ კანონი სისრულეში. იმ საზოგადოებაში სადაც არ არსებობს გარანტია სამართლისა და გარკვეული გაყოფა საზოგადო მმართველობისა არ არის კონსტიტუცია.

ასეთი დაყოფა მმართველობისა მით არის საჭირო, რომ სხვადასხვა მოხელეებს რომელთა მოვალეობა მხოლოთ ამა თუ ის დანაშუალის აღნიშვნა ნება არ ჰქონდეს მოქალაქის დასჯისა, რასაც ნებას მათ აძლევდა ძველი რეჟიმის მართველობა.

1917 წელი, #1